შპს აუდიტორული ფირმა "აუდიტი-ბოლნისი"

საქართველო, ქ. ბოლნისი

ს.ს. ორბელიანის ქ. № 106

ლიცენზია ზოგად აუდიტში - ზ. № 151, 5-XI – 1999 წ.
მოწმობა საერთაშორისო აუდიტსა და სტანდარტებში - № 150, დეკემბერი: 1999 წ.
სერთიფიკატი ზოგად აუდიტში - ზ. № 5/282 2010 წ.
საქართველოს კანონი 2013 წ. 29 ივნისი № 6598-რს - მობ. 899-98-22-49

ა უ დ ი ტ ო რ უ ლ ი დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. ბოლნისი

28 ივლისი 2017 წ.

აუდიტორული დასკვნა მომზადებულია „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ", საქართველოს კანონით (მიღებულია 2012 წლის 29 ივნისს № 6598-რს, მუხლი 16, პუნქტი 2, 3 და 4) უფლებამოსილი, ლიცენზირებული აუდიტორული ფირმა შპს "აუდიტი-ბოლნისი"-ს მიერ, მისი დირექტორის, სერტიფიცირებული აუდიტორის ზოგად აუდიტში – ნუგზარი ალაგარდაშვილის ხელმძღვანელობით.

ჩვენი აუდიტი ჩატარდა სსიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისის № 1 საჯარო სკოლის" დირექტორთან – ზიადხან სარდაროვთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიზანია მის დაქვემდებარებაში არსებული სოფ. ფოლადაურის დაწყებითი სკოლის დემონტაჟის შემდგომ ნარჩენი სამშენებლო მასალების საბაზრო ღირებულებაზე მოსაზრების გამოთქმა შესაბამისი აუდიტორული დასკვნის გაცემით.

"აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, პასუხისმგებლობა მოწოდებულ უტყუარ ინფორმაციაზე აკისრია დამკვეთს – ზიადხან სარდაროვს.

ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტით დადგინდა, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფ. ფოლადაურის დაწყებითი სკოლის შენობა წარმოადგენს ბელეტაჟის ტიპის სამი საფეხურის სიმაღლეზე მდებარე ხის შენობას. მისი პარამეტრებია 6,40X5 მ, სულ 32 მ^2. ოთახების სიმაღლეა – 2,40 მ. სკოლა გადახურულია ძველი, პატარა ზომის აზბესტო-ცემენტის ფურცლოვანი საფარით (შიფერი). შენობა აშენებულია 1984 წელს. ჩვენი მოსაზრებით იგი მთლიანად ამორტიზირებულია და ექვემდებარება დემონტაჟს. ამჟამად სკოლაში სწავლობს 8 ბავშვი. შენობა გარედან შემოფარგლულია ე.წ. „შიპიანი" ფიცრით, ხოლო შიგნიდან ოთახების ჭერი და კედლები მოპირკეთებულია დეევპე – თხელი მუყაოსებრი ფანერით. იატაკი ხისაა. საყრდები ბოძები 2,5 მ სიმაღლისაა 6X10 სმ სისქის.

სკოლის დემონტაჟის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა რომ იგი ამორტიზირებულია და ექვემდებარება დაშლას, მიღებულ სამშენებლო ხე-მასალის ნაწილს მაინც გააჩნია საბაზრო ღირებულება, როგორც მეორადი მასალა და შესაძლოა მისი შემდგომი გამოყენება.

ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა ყველა სახის საჭირო აუდიტორული პროცედურა, გაანგარიშება და გათვლა, მიღებულ იქნა მხედველობაში ამჟამად სამშენებლო მასალებზე არსებული საბაზრო ფასები, და გამოვთქვავთ მოსაზრებას, რომ სკოლის დემონტაჟის შემთხვევაში მის სახურავთან ერთად შესაძლებელია მიღებულ იქნეს ნარჩენი ხე-მასალა ფიცრებისა და კოჭების სახით, როგორც მეორადი მასალა, საბაზრო ღირებულებით 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარის ოდენობით, რასაც ვადასტურებთ.

აუდიტორული დასკვნა შედგენილია ოთხი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, სამი გადაეცემა დამკვეთს.

შპს "აუდიტი-ბოლნისი"-ს
დირექტორი: /ნ. ალაგარდაშვილი/.

დასკვნას ვეთანხმები და მივიღე: /ზ. სარდაროვი/.